ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1164727

ნომერი: AR1203498

თარიღი : 11.03.2014

გაცემის თარიღი : 12.03.2014

გაცნობის თარიღი : 24.03.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , შესახვევი გუდიაშვილი , (ლომბარდისა და რუსთაველის პროსპექტის N1 სახლებს შორის).;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მანანა ქვრივიშვილი პ/ნ 01025011294
- თბილისი დიდი დიღომი ი.პეტრიწის ქ. N 1 ბ. 86

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი #AR1203498 განაცხადის პასუხად გაცნობებთ, წარმოდგენილი მასალის განხილვის დროს გაირკვა, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთი დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი რუკის მიხედვით მდებარეობს საზოგადოებრივ–საქმიან ზონა 2 (სსზ–2)–ში რომელიც მოქმედებს შემდეგი ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები:

- მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტია კ1=0,7;
- მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტია კ2=4,6;
- მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტის კ3=0,1;

ამასთან, გაცნობებთ, რომ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე, მრავალფუნქციური შენობის განთავსების მიზნით სამსახურის მიერ გაცემულია #137775 (26.04.2012) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. იმ შემთხვევაში თუ არ გეგმავთ ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გამოყენებას, მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობის საფუძველზე უნდა მოითხოვოთ ქალაქთმშენებლობითი პირობების გაუქმება. ასევე შესაძლებელია ამ პიროვნების მონაცემების დაფიქსირება ამავე განაცხადის თანაგანმცხადებლის ველში. რის შემდგომ სამსახური განიხილავს შერჩეულ საპროექტო ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის დასაგეგმარებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის შესაძლებელობას. ამასთან, რადგან განაცხადის მოთხოვნის ტექსტრისთვის გამოყოფილ ველში ატვირთული გაქვთ სხვა საკადასტრო ერთეულებიც, რომლებთან ერთადაც აპირებთ ტერიტორიის სამშენებლო განვითარებას, გაცნობებთ, რომ აღნუშნული რეგისტრაციები ასევე უნდა იქნეს ატვირთული ამავე განაცხადის „განსაზღვრე განაცხადის მდებარეობა რუკაზე“–ს ველში.

ასევე, ვინაიდან საპროექტო ობიექტები მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში. “კულტურული მემკვიდრეობის შესახებ” საქართველოს კანონის 41-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტებში განხორციელებული ცვლილების თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში ქალაქთმშნებლობით დოკუმენტაციას ამტკიცებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ორგანო სამინისტროსთან შეთანხმებით. რისთვისაც ამავე განაცხადის შესაბამის ველში უნდა ატვირთოთ ტერიტორიის ისტორიულ–არქიტექტურული კვლევა და მასში დაფიქსირებული რეკომენდაციების გათვალისწინებით მომზადებული საპროექტო წინადადების ესკიზური ვარიანტი („რენდერი“, მოცულობის ელ. ვერსია ფოტომონტაჟით მიმდებარე გარემოში), რომლის დაპროექტებასაც ფიქრობთ მითითებულ ტერიტორიაზე.

ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.